პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მზრუნველთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 21 (10415) | ოთხშაბათი, 25 იანვარი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია (1-ლი გვერდი).

კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო ეთიოპიის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში გ. ზალაკა (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1955 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა (მე-2 და მე-3 გვერდი).

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა. — **კამათი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.** ამხანაგების მ. პ. გიორგაძის, ა. ლ. გუნიას, ა. ლ. კოკილაშვილის, მ. ბ. ღვინჯილიას, ი. ბ. აბაშიძისა და დ. გ. მამაცაშვილის [illegible] (მე-3 და მე-4 გვერდი).

ე. ვასაძე. — რამდენიმე [illegible] ბალნეოლოგიური გაზის გამოყენების საკითხებზე (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანები

21 იანვარს მუშაობა დაამთავრა საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობამ. ყრილობამ მოისმინა და განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებები, განიხილა პროექტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, აირჩია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა, აგრეთვე სკკპ XX ყრილობის დელეგატები.

ყრილობამ, რომელმაც საქმიანი, ჯანსაღი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში ჩაიარა, შეაჯამა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა და დასახა იმ ამოცანების გადაწყვეტის გზები, რომლებიც უნდა განახორციელონ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა მეექვსე ხუთწლედში. ყრილობამ ნათლად გვიჩვენა საქართველოს კომუნისტების აქტივობის შემდგომი ზრდა და მზადყოფნა თავდადებულად იბრძოლონ პარტიისა და მთავრობის მიერ საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად, ერთხელ კიდევ ცხადყო საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მჭიდრო დარაზმულობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

ახორციელებდა რა სკკპ XIX ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს, საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობითა და სისტემატური დახმარებით, გარკვეული წარმატებები მოიპოვა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და კულტურის შემდგომი განვითარების დარგში, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონის შემდგომი აღავლობის საქმეში. მაგრამ, როგორც ცნობილია, კომუნისტებს არ სჩვევიათ მიღწეულით დაკმაყოფილება და თვითდამშვიდება. ისინი დაუცხრომლად იბრძვიან ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად, შენდგომი წინსვლისათვის, ყოველივე ახლის, მოწინავის, პროგრესულის დასანერგავად ცხოვრებაში. და სავსებით ბუნებრივია, რომ ყრილობის დელეგატებმა, აღნიშნეს რა მიღწეული წარმატებები, ძირითადი ყურადღება დაუთმეს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოაშკარავებას, მათი აღმოფხვრისა და ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის სათანადო ღონისძიებების დასახვას.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ სამრეწველო საწარმოთა მუშაობაში, მშენებლობებზე ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. საწარმოთა საგრძნობი ნაწილი არარიტმულად მუშაობს, სისტემატურად ვერ ასრულებს სახელმწიფო გეგმებს. მთელ რიგ საწარმოებში არ ზრუნავენ ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვისათვის, წარმოების რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებისათვის. ბევრი სამშენებლო ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს ახალი სიმძლავრეების ამოქმედებისა და საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმების შესრულებას, მშენებლობის ღირებულების შემცირების დავალებათა შესრულებას. ნელა ინერგება ტიპური პროექტებით მშენებლობა, სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაცია. მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობაში, მშენებლობაში არსებულ ნაკლოვანებათა მთავარი მიზეზია მათ მიმართ არასაკმაო პარტიული ხელმძღვანელობა. ამიტომ იყო, რომ როგორც საანგარიშო მოხსენებაში, ისე დელეგატთა გამოსვლებში მკაცრად და სამართლიანად იქნენ გაკრიტიკებული პარტიული კომიტეტების სამრეწველო განყოფილებები, რომელთა მუშაობის დონე ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებებს. ისინი საკმაო კონტროლს არ უწევენ სამინისტროების, უწყებების, საწარმოების მუშაობას, მშენებლობათა მიმდინარეობას, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მრეწველობის ეკონომიკის საკითხებს, მოწინავე ტექნიკის მიღწევებისა და ნოვატორთა გამოცდილების განზოგადებასა და წარმოებაში დანერგვას.

ყრილობამ მოითხოვა პარტიული ორგანოებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციებისაგან, სათანადო სამინისტროებს, უწყებებისა და საწარმოთა ხელმძღვანელებისაგან გადაჭრით აღმოფხვრან ნრეწველობაში, ტრანსპორტზე და მშენებლობაში არსებული ნაკლოვანებები, უზრუნველყონ რიტმულობა საწარმოთა მუშაობაში, სახელმწიფო გეგმების აუცილებლად შესრულება ყველა მაჩვენებლის მიხედვით. დასახულია ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, არსებული მოწყობილობისა და საწარმოო ფართობების სრულყოფილად გამოყენების, რაციონალიზატორებთან და გამომგონებლებთან მუშაობის გაუმჯობესების, ნოვატორთა გამოცდილების განზოგადებისა და წარმოებაში გამოყენებისათვის შემდგომი ბრძოლის კონკრეტული ამოცანები.

ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში მოცემულია აგრეთვე რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების პრაქტიკული ღონისძიებანი.

აღნიშნეს რა ის წარმატებები, რომლებიც მოპოვებულია სოფლის მეურნეობაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების საწარმოებლად, ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ამოცანები ჯერ კიდევ ვერ ასრულებენ ამ მნიშვნელოვანი ღონისძიებანი. ყრილობამ ნათლად ანახა, რომ ეს ამოცანები ჯერ

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1955 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის განვითარება, კაპიტალური მშენებლობა, საქონელბრუნვა, კულტურული მშენებლობა და ჯანმრთელობის დაცვა საქართველოს სს რესპუბლიკაში 1955 წელს ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

მრეწველობა

I.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით, აქედან საკავშირო მრეწველობისა — 102 პროცენტით, რესპუბლიკური მრეწველობისა — 106 პროცენტით.

ქალაქ თბილისის მრეწველობამ საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა შეასრულა 107 პროცენტით, აფხაზეთის ასსრ მრეწველობამ — 102 პროცენტით, აჭარის ასსრ მრეწველობამ — 105 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მრეწველობამ — 105 პროცენტით.

ქალაქ თბილისის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მრეწველობის საერთო პროდუქციის წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულებისას ზოგიერთი სახეობის ნაკეთობათა წარმოების გეგმა მთლიანად არ არის შესრულებული.

საქართველოს სსრ მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება 1954 წელთან შედარებით გაიზარდა 10 პროცენტით, აქედან საკავშირო მრეწველობისა — 8 პროცენტით, რესპუბლიკური მრეწველობისა — 11 პროცენტით.

1955 წელს გეგმის გადამეტებით მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოშვებულია მარგანეცის მადანი, კოქსი, ელექტროენერგია, კულტივატორები, კირი, დახერხილი ხე-ტყის მასალა, ფეხსაცმელი, საშენელი მცენარეული ზეთი, ყველი, პურ-ფუნთუშის ნაწარმი, ჩაი, კონიაკი, შამპანური, საპონი და მრეწველობის ზოგიერთი სხვა ნაწარმი.

II.

საქართველოს სსრ ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების მიერ მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების 1955 წლის გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1955 წლის გეგმის შესრულების პროცენტი	1955 წელი პროცენტებით 1954 წელთან შედარებით
სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო	107	111
აქედან:		
რესპუბლიკური მრეწველობა	107	111
რაიონული მრეწველობა	105	93
ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის საძინისტრო	101	120
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	104	112
საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო	107	112
სატყეო მრეწველობის სამინისტრო	104	125
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	107	130
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	109	115
აქედან:		
რესპუბლიკური მრეწველობა	110	114
რაიონული მრეწველობა	108	115
საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს სამრეწველო საწარმოები	108	117
საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოები	93	99,1
კულტურის სამინისტროს სამრეწველო საწარმოები	103	107
კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოები	124	111
სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოები	88	116
წყალთა მეურნეობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოები	98	123
საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სამრეწველო საწარმოები	103	103
ვაჭრობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოები	117	116
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამრეწველო საწარმოები	136	116
განათლების სამინისტროს სამრეწველო საწარმოები	107	98
სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სამრეწველო საწარმოები	127	127
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველო	64	72
საქართველოს სარეწაო საბჭო	108	112
საქართველოს სამომხმარებლო საზოგადოებათა რესპუბლიკური კავშირის (ცეკავშირის) სამრეწველო საწარმოები	99,9	113
უსინათლოთა საზოგადოება	116	118
ყრუმუნჯთა საზოგადოება	129	134

იმ სამრეწველო სამინისტროთა რიცხვიდან, რომლებმაც საერთო პროდუქციის გეგმა შეასრულეს, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ, ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტრომ, საფეიქრო მრეწველობის სამინისტრომ, სატყეო მრეწველობის სამინისტრომ, სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრომ, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ—რაიონულ მრეწველობაში, აგრეთვე საქართველოს სარეწაო საბჭომ ვერ შეასრულეს ზოგიერთ სახეობათა პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა ნატურალური გამოხატულებით.

III.

მეტმა წილმა მსხვილმა საწარმოებმა და ტრესტებმა შეასრულეს საერთო პროდუქციისა და უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების წლიური გეგმა ნატურალური გამოხატულებით.

თუმცა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია, მაგრამ ზოგიერთ სახეობათა პროდუქციის ან ასორტიმენტის გეგმის შესრულება ვერ უზრუნველყვეს შემდეგმა საწარმოებმა და ტრესტებმა:

საკავშირო მრეწველობაში:

	საერთო პროდუქციის 1955 წლის გეგმის შესრულების პროცენტი
სოხუმჰესი	99,3
თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა	99
ენგურის ქაღალდის კომბინატი	98
ახალციხის მაღაროთსამმართველო	97
ქარხანა „ჩარხი“	96
საქართველოს ცემენტის ქარხანა	95
ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა	94
ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტი	94
აწჰესი	93
ჩითახევჰესი	89
შაქრის ქარხანა	86
საქართველოს საკონსერვო ტრესტი	84
საქენერგოს კ[illegible]ი № 1	79
თბილისის კერამიკული კომბინატი	64
ქუთაისის მინის ტარის ქარხანა	64

რესპუბლიკურ მრეწველობაში:

საქართველოს ყველ-კარაქის მრეწველობის ტრესტი	99
გორის ბამბეულის კომბინატი	97
თბილისის ავეჯის კომბინატი	94
ენგურის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა	93
ზუგდიდის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა	89
ბათუმის ფანერის ქარხანა	87
ცხაკაიას კირის ქარხანა	82
ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხანა	81

IV.

უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1955 წლის გეგმის შესრულების პროცენტი	1955 წელი პროცენტებით 1954 წელთან შედარებით
მარგანეცის სასაქონლო მადანი	104	112
ქვანახშირი	100,2	106
კ ო ქ ს ი	102	—
ფოლადი	98	115
თ უ ჯ ი	85	3,7-ჯერ
ნაგლინი	97	120
მთლიანნაგლინი მილები	104	106
ელექტროენერგია	104	113
სატვირთო ავტომობილები	102	101
ტუმბოები ატნ-10	100,0	100,0
ექსკავატორები	74	158
ლითონსაჭრელი ჩარხები	100,5	118
საქსოვი დაზგები	100,1	99
კულტივატორები	112	122
მოწყობილობა ღვინის მრეწველობისათვის:		
ჰიდრავლიკური წნეხები ორკალათიანი	100,0	51
ჰორიზონტალური ტუმბოები H-11	101	99
ცემენტი	97	114
შ ი ფ ე რ ი	85	88
ა გ უ რ ი	95	116
აქედან საქართველოს სსრ საშენი მასალების მრეწველობის სამინისტრო	103	121
კ რ ა მ ი ტ ი	78	144
აქედან საქართველოს სსრ საშენი მასალების მრეწველობის სამინისტრო	101	3,8-ჯერ
კ ი რ ი	105	116
აქედან საქართველოს სსრ საშენი მასალების მრეწველობის სამინისტრო	104	114
დახერხილი ხე-ტყის მასალა	133	103
აქედან საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტრო	129	115
სამასალე მერქნის გამოზიდვა	95	110
აქედან საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტრო	94	113
შეშის გამოზიდვა	107	94
ქაღალდი	97	101
ბ ა მ ბ ა	98	104
ბამბის ქსოვილები	94	5,6-ჯერ
აქედან საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო	94	12-ჯერ
შალის ქსოვილები	100,0	111
აქედან საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო	102	110
აბრეშუმის ქსოვილები	101	106
აქედან საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო	101	106
წინდის ნაწარმი	103	111
საცვლის ტრიკოტაჟი	89	100,7
ზედა ტრიკოტაჟი	113	117
ფეხსაცმელი	103	104
აქედან საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	103	105
უხეში ტყავის საქონელი	102	110
აქედან საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	103	112
რბილი ტყავის საქონელი	99,5	113
აქედან საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	100,8	114
პალტოები და როიალები	101	120
სამშენებლო ლურსმანი	103	125
საწოლები	99,1	104
ნავთქურები	104	171
მომინანქრებული ჭურჭელი	103	132
თევზჭერა	37	64
ერბო-კარაქი	96	129
მარგარინის ნაწარმი	100,6	93
საჭმელი მცენარეული ზეთი (საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო)	104	88
ყ ვ ე ლ ი	105	136
ხ ო რ ც ი	104	117
ძეხვის ნაწარმი (საქართველოს სსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტრო)	102	116
კონსერვები	82	91
საკონდიტრო ნაწარმი (საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო)	104	107
პურ-ფუნთუშის ნაწარმი	112	112
მაკარონის ნაწარმი	100,8	118
შ ა ქ ა რ ი	86	80
ჩაი — პირველადი დამუშავება	112	112
ჩაი — მზა დაფასოებული	109	107
კ ო ნ ი ა კ ი	105	115
ყურძნის ღვინო (საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო)	101	123
შამპანური	105	115
ლ უ დ ი	100,6	98
უალკოჰოლო სასმელები (საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო)	105	105
მინერალური წყლები	100,0	121
პაპიროსი	106	100,3
საპონი (საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო)	106	121

1955 წელს განხორციელდა ღონისძიებანი მსუბუქი და კვების მრეწველობის ნაწარმის ხარისხის გასაუმჯობესებლად. მაგრამ საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს და, განსაკუთრებით, სარეწაო კოოპერაციისა და ადგილობრივი მრეწველობის — რაიონულ მრეწველობაში ზოგიერთი საწარმო ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელი ხარისხისას უშვებს პროდუქციის ნაწილს, ხოლო ასორტიმენტი არ შეესაბამება მოსახლეობის მოთხოვნილებას, უშვებდნენ უხეიროდ გამოყვანილ საქონელს.

V.

მოწინავე ტექნიკის და ტექნოლოგიის დანერგვისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების გზით იზრდება მუშათა შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში.

საქართველოს სსრ სამრეწველო სამინისტროებში შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა შესრულებულია; ერთი მუშის გამომუშავება 1954 წელთან შედარებით 9 პროცენტით გადიდდა.

შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა ვერ შეასრულეს სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელმა ქარხანამ, ქარხანა „ჩარხმა“, საქართველოს ცემენტის ქარხანამ, კერამიკულმა კომბინატმა, მინის ტარის ქარხანამ და ზოგიერთმა სხვა სამრეწველო საწარმომ.

საქართველოს სსრ სამრეწველო სამინისტროებმა 1955 წელს შეასრულეს სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმა.

მიმდინარეობს მუშაობა სამრეწველო საწარმოებში შემდგომი ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის. მაგრამ კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში და ზოგიერთ სხვა მანქანათმშენებელ საწარმოში ნელა ინერგება წარმოებაში ახალი ტიპების მაღალი წარმადობის ჩარხები, მანქანები და მექანიზმები. ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და სამთო მიწათმოქმედების მანქანათა სახელმწიფო სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიურომ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია ჩაისსაკრეფი მანქანის შემუშავებას. ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მაღაროებში ნელა ინერგება მადნის დატვირთვის მექანიზაცია, ხოლო ბიგების დამზადება წარმოებს ხელით. საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი არარიტმულად მუშაობდა 1955 წელს.

სოფლის მეურნეობა

1955 წლის მოსავლისათვის ნათესი ფართობები გადიდდა. თამბაქოს ფართობი გადიდდა 12 პროცენტით, კარტოფილისა — 12 პროცენტით, საკვები კულტურებისა — 38 პროცენტით, გადიდდა სიმინდის ნათესების ხვედრითი წონა მარცვლეულის საერთო ნათესებში, ამასთან მნიშვნელოვნად გაფართოვდა ამ ძვირფასი კულტურის ნათესები ნაწვერალზე.

1956 წლის მოსავლისათვის საშემოდგომო თესვის გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით. ვერ შესრულდა მზრალად ხვნის გეგმა.

გადიდდა მრავალწლიანი კულტურების — ჩაის, ვენახის, ხეხილის ბაღებისა და თუთის პლანტაციების ფართობები, თუმცა ამ კულტურების გაშენების 1955 წლისათვის დაწესებული გეგმა შესრულებული არ არის.

რესპუბლიკაში საანგარიშო წელს წარმატებით შესრულებულია ჩაის მწვანე ფოთლისა და ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფის სამუშაოები. გაცილებით მეტი, ვიდრე გასულ წელს, მოკრეფილია ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და ციტრუსოვანთა ნაყოფი და გადაჭარბებით შესრულებულია მათი დამზადების გეგმა.

კოლმეურნეობებში განხორციელებულია სასილოსე ნაგებობათა და პირუტყვის სადგომთა დიდი მშენებლობა; მაგრამ მეცხოველეობის სადგომთა მშენებლობის გეგმა არ შესრულებულა. ჩადებულია 1,9-ჯერ მეტი სილოსი, ვიდრე 1954 წელს.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა გადაჭარბებით შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წლიური გეგმა, ამასთან შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა შარშანდელზე მეტია.

ამაღლდა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მექანიზაციის დონე; მზრალისა და ანეულის ხვნა თითქმის მთლიანად მექანიზებულია, საშემოდგომო კულტურების თესვა — 84 პროცენტით, მარცვლეული თივთავიანი კულტურების მოსავლის აღება — 72 პროცენტით და დასილოსება — 60 პროცენტით.

ტრაქტორებისა და კომბაინების რემონტის 1955 წლის IV კვარტალის გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით.

განვლილი სამეურნეო წლის მანძილზე წინა წელთან შედარებით რესპუბლიკაში გადიდდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, მათ შორის ძროხის, ღორისა და ცხვრის სულადობა; მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საზოგადოებრივ ჯოგში გაიზარდა ძროხის ხვედრითი წონა.

მნიშვნელოვნად გადიდდა მერძეული პირუტყვის პროდუქტიულობა. წველადობა ერთ საფურაქე ძროხაზე სამეურნეო წლის განმავლობაში გადიდდა 52 პროცენტით; საშუალო წველადობის წლიური გეგმა შესრულებულია 12 პროცენტის გადაჭარბებით. გადიდდა ხორცის, რძის, მატყლისა და კვერცხის წარმოება 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე.

საანგარიშო წელს დამზადებულია შარშანდელზე მეტი ხორცი, რძე და მატყლი.

საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში ჩაის პლანტაციების, ციტრუსოვანთა კულტურებისა და კეთილშობილი დაფნის გაშენების გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით. გადიდდა რძის საერთო გამოსავალი, წველადობა ერთ საფურაქე ძროხაზე, მატყლის ნაპარსი ერთ ცხვარზე, მეფრინველეობის პროდუქცია.

საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს საკუთარი საკვები ბაზის შესაქმნელად. თივის დამზადებისა და სილოსის ჩადების გეგმა შესრულებულია მნიშვნელოვანი გადაჭარბებით.

კაპიტალური მშენებლობა

1955 წელს მნიშვნელოვანი მოცულობით განხორციელდა საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა, შესრულებულია დიდი საბინაო მშენებლობა; მაგრამ სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა გეგმა 1955 წელს მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებული არ არის.

კაპიტალდაბანდებათა წლიური გეგმა რესპუბლიკის ცალკეულმა სამინისტროებმა შეასრულეს შემდეგნაირად — პროცენტობით: ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო — 186, კულტურის სამინისტრო — 127, განათლების სამინისტრო — 126, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო — 120, კომუნალური მეურნეობის სამინისტრო — 111, სატყეო მრეწველობის სამინისტრო — 105, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტრო — 103, ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტრო — 103, სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო — 101, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო — 100,9, სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 100,8, ვაჭრობის სამინისტრო — 100,4, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო — 99, წყალთა მეურნეობის სამინისტრო — 99, საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო — 98, კავშირგაბმულობის სამინისტრო—95, საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრო (საკუთარი მშენებლობა)—92, საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო — 86.

განათლების სამინისტრომ სკოლების მშენებლობის წლიური გეგმა შეასრულა 105 პროცენტით, მაგრამ მთლიანად რესპუბლიკაში განათლების, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მშენებლობისა და საბინაო მშენებლობის წლიური გეგმა შესრულებული არ არის.

1954 წელთან შედარებით რესპუბლიკის სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებმა მიაღწიეს მშენებლობის ღირებულების ერთგვარ შემცირებას, მაგრამ მშენებლობის ღირებულების შემცირების 1955 წლისათვის დაწესებული დავალება ბევრ ორგანიზაციას არ შეუსრულებია. მშენებლობებზე ჯერ კიდევ ცუდად იყენებენ სამშენებლო მანქანებსა და მექანიზმებს; ამავე დროს ბევრ შრომატევად სამშენებლო სამუშაოს ხელით ასრულებენ. შესრულებული არ არის შრომის ნაყოფიერების გადიდების დავალება.

საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მოიჯარე ორგანიზაციებმა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს, მაგრამ ამ სამინისტროს ცალკეულმა ტრესტებმა — №№ 1, 3, 6 — ვერ უზრუნველყვეს წლიური გეგმის შესრულება.

ტრანსპორტი

ამიერკავკასიის რკინიგზამ (საქართველოს სსრ ტერიტორიაზე) საშუალო სადღეღამისო დატვირთვის გეგმა 1955 წელს შეასრულა 104 პროცენტით, აქედან ქვანახშირის დატვირთვისა — 100,0 პროცენტით, ნავთობის და ნავთობპროდუქტებისა — 116 პროცენტით, მარგანეცის მადნისა — 102 პროცენტით, მინერალურ-სამშენებლო ტვირთებისა — 102 პროცენტით, შავი ლითონებისა—106 პროცენტით, ქიმიური და მინერალური სასუქებისა — 99 პროცენტით. 1954 წელთან შედარებით საშუალო სადღეღამისო დატვირთვა გადიდდა 8 პროცენტით.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1955 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

(დასასრული)

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტმა ტვირთზიდვის წლიური გეგმა შეასრულა ტონობით 106 პროცენტით, ტონა-კილომეტრობით — 100,1 პროცენტით. საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა გაესული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდა 19 პროცენტით. მგზავრთა გადაყვანის გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მგზავრთა გადაყვანა გადიდდა.

საქონელბრუნვა

1955 წელს გრძელდებოდა სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ვაჭრობის შემდგომი გაშლა.

საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმა საქართველოს სსრ სავაჭრო ორგანიზაციებმა შეასრულეს 100,2 პროცენტით, მათ შორის საცალო სავაჭრო ქსელის საქონელბრუნვის გეგმა — 99,3 პროცენტით, საზოგადოებრივი კვების ბრუნვის გეგმა—105 პროცენტით. ვაჭრობის სამინისტროს ორგანიზაციებმა საცალო საქონელბრუნვის გეგმა შეასრულეს 99,1 პროცენტით, მათ შორის საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ორგანიზაციებმა—99 პროცენტით. სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო საქონელბრუნვის გეგმა შესრულებულია 100,1 პროცენტით. საცალო საქონელბრუნვა მთლიანად რესპუბლიკაში 1955 წელს შესადარ ფასებში 1954 წელთან შედარებით გადიდდა 3 პროცენტით.

სახელმწიფო ვაჭრობის ხაზით მოსახლეობას მიეყიდა სახალხო მოხმარების მეტი საქონელი, ვიდრე 1954 წელს. მაგრამ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება მთელ რიგ საქონელზე ჯერ კიდევ ვერ კმაყოფილდება მთლიანად. სავაჭრო ორგანიზაციები სუსტად ეწევიან ბრძოლას იმ საქონლის ხარისხისათვის, რომელსაც ძრუწველობა აწვდის მოსახლეობაში გასაყიდად.

1955 წელს მნიშვნელოვნად გადიდდა საქონლის გაყიდვა სამომხმარებლო კოოპერაციის საკომისიო სავაჭრო ქსელში. მაგრამ იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ასორტიმენტი, რომელთა რეალიზაცია ხდება საკომისიო საწყისებზე, შეზღუდულია.

რესპუბლიკის საკოლმეურნეო ბაზრებში მოსახლეობას მიეყიდა მეტი ძროხის ხორცი, ცხვრის ხორცი, ღორის ხორცი, ფრინველი, პარკოსანი კულტურები, ერბო-კარაქი, მცენარეული ზეთი და ბოსტნეული, ვიდრე 1954 წელს.

კულტურული მშენებლობა და ჯანმრთელობის დაცვა

1955 წელს რესპუბლიკაში გრძელდებოდა კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი განვითარება.

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების, მათ შორის მუშა ახალგაზრდობის სკოლების 9-11 კლასების მოსწავლეთა რიცხვი 1954 წელთან შედარებით გადიდდა 12 პროცენტით; 1955 წელს საშუალო სკოლების მე-11 კლასების გამოშვება შარშანდელთან შედარებით გადიდდა 26 პროცენტით.

ფართოვდება მშრომელთა სწავლება წარმოებისაგან მოუწყვეტლივ. 9-11 კლასების მოსწავლეთა რიცხვი მუშა ახალგაზრდობის სკოლებში 1954 წელთან შედარებით გადიდდა 22 პროცენტით.

1955 წელს უმაღლესმა და საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა (დაუსწრებელი სასწავლებლის ჩათვლით) რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის გამოუშვეს 12 ათასზე მეტი ახალგაზრდა სპეციალისტი.

გადიდდა საბავშვო ბაღების ქსელი და ბავშვთა რაოდენობა საბავშვო ბაღებში.

საანგარიშო წელს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მასობრივი ბიბლიოთეკების რიცხვი 1954 წელთან შედარებით გადიდდა 11 პროცენტით, კინოდანადგარებისა — 11 პროცენტით.

გრძელდებოდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესება. 1955 წელს 1954 წელთან შედარებით გადიდდა ადგილების რაოდენობა საავადმყოფოებში, სამშობიარო სახლებსა და საბავშვო ბაგებში.

რესპუბლიკაში იზრდება სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელი. 1955 წელს 1954 წელთან შედარებით ადგილების რაოდენობა სანატორიუმებში გადიდდა 7 პროცენტით, დასასვენებელ სახლებში — 15 პროცენტით.

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

რამდენიმე შენიშვნა ბუნებრივი გაზის გამოყენების საკითხებზე

გაზის მიღება ხდება როგორც დედამიწის წიაღიდან — ბუნებრივი გზით, ისე მაგალითად ნავთობის გადამუშავებით, ე. ი. ხელოვნური გზით. გაზს ორგვარი დანიშნულება აქვს: საყოფაცხოვრებო და საწარმოო-ტექნიკური.

XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნეში გაზს იყენებდნენ გასანთებლად, რაც სერიოზულ მიღწევად ითვლებოდა იმ დროს, განათების ტექნიკის ისტორიაში. გაზის მრეწველობის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული ნავთობის მრეწველობის განვითარებასთან. ოქტომბრის რევოლუციამდე რუსეთში ბუნებრივი გაზის ამოღება წარმოებდა მხოლოდ ისეთ ადგილებში, სადაც გაზი გამოიყოფოდა როგორც ნავთობის თანმხლები პროდუქტი.

სამამულო ომამდე ჩვენში დიდი სამუშაოები შესრულდა სუფთა გაზის საბადოების დასაზვერავად. 1942 წელს წარმატებით დამთავრდა გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები სარატოვში. გაყვანილ იქნა 18 კილომეტრის სიგრძის გაზსადენი ელშანსკის გაზის საბადოდან ქ. სარატოვამდე. 1943 წლის სექტემბერში საექსპლოატაციოდ გადაეცა გაზსადენი ბუგურუსლან-კუიბიშევი. ომის მძიმე პირობებში დაიწყო და 1947 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა მაგისტრალური გაზსადენი სარატოვი-მოსკოვი, რომლის სიგრძეა 843 კილომეტრი. 1948 წელს დამთავრდა 513 კილომეტრი სიგრძის გაზსადენი დაშავკეევი, რომლის სიმძლავრე გაცილებით მეტია, ვიდრე სარატოვ-მოსკოვის გაზსადენისა. საბჭოთა ქვეყნის ქალაქების მომარაგება გაზით ხდება არა მარტო ბუნებრივი გაზების ბაზაზე, არამედ ხელოვნური გზებითაც. მაგალითად, ლენინგრადი მარაგდება ესტონეთიდან გაყვანილი ხელოვნური გაზით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტში განსაკუთრებით დიდი ადგილი უჭირავს გაზის მრეწველობის განვითარებას. მეექვსე ხუთწლედში გაზის მრეწველობის განვითარების ტემპი 1955 წელთან შედარებით გაიზრდება სამჯერ და მეტად, ხოლო გაზის ამოღება — 3,9-ჯერ. მეექვსე ხუთწლედის ბოლოსათვის აშენდება და ამოქმედდება 9 ათასი კილომეტრი სიგრძის მაგისტრალური გაზსადენები.

თუ რამდენად ხელსაყრელია გაზის გამოყენება ყოფაცხოვრებაში სხვა სახის სათბობთან შედარებით, ჩანს შემდეგი გაანგარიშებიდან: ერთი ლიტრი წყლის ასადუღებლად საჭიროა დაიხარჯოს 10-11 კაპიკის შუშა ან 5-6 კაპიკის ნავთი, მაშინ როცა იმავე 1 ლიტრი წყლის ასადუღებლად საკმარისია 0,9 კაპიკის ბუნებრივი გაზი. იგი შუშაზე 11-12-ჯერ უფრო იაფია და ნავთზე — 6-7-ჯერ.

გამოანგარიშებულია, რომ მაგისტრალური გაზსადენების მშენებლობაზე დახარჯული კაპიტალური დაბანდებანი ანაზღაურდება 3-4 წლის ექსპლოატაციის პერიოდში. ბუნებრივი გაზი მეტად ძვირფასი პროდუქტია, იგი მიიღება როგორც ნავთობის ამოდებასთან ერთად ნავთობის თანმხლები პროდუქტის სახით, ისე სუფთა გაზის საბადოებიდან.

ამ უკანასკნელ ხანს ჩვენში დიდად განვითარდა ბუნებრივი გაზიდან ბენზინისა და თხევადი გაზის პროდუქტების გამოყოფის ტექნოლოგია. გაზიდან მიღებული ბენზინის წარმოება 1950 წელთან შედარებით 1955 წელს გაიზარდა 112 პროცენტით, ხოლო თხევადი გაზის წარმოება — 245 პროცენტით. ქალაქების გაზიფიკაციის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს თხევადი გაზის გამოყენებას. იგი მიიღება როგორც ბუნებრივი გაზიდან, ისე ნავთობსაზღველ ქარხნებში დამატებითი პროდუქტის სახით. თხევადი გაზის გამოყენება საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის დიდი მნიშვნელობის საკითხია. დამტკიცებულია, რომ ყოველი ბინისათვის საკმარისია 36-40 დღის განმავლობაში ორი პატარა ბალონი გაზი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის მდგომარეობა, რომ გაზიფიკაციის ამ მეთოდის გამოყენების დროს სრულიად გამორიცხულია გაზსადენებისა და სხვა მოწყობილობათა მშენებლობის საჭიროება.

საქართველოში ნავთობის მოპოვებისას ჩვენ ახლა ყოველთვიურად ვკარგავთ დაახლოებით 1 მილიონ კუბმეტრ ნავთობის თანმხლებ ბუნებრივ გაზს. ეს გაზი კი შეგვეძლო გამოგვეყენებინა სოფლის მეურნეობაში სათბურებისათვის, კარის გამოსაწვავად, მუშათა დაბების გაზიფიკაციისათვის.

საქართველოს ნავთობსარეწ სამმართველოს გადაწყვეტილი აქვს ნავთობის თანმხლები ბუნებრივი გაზი გამოიყენოს და ამ მიზნით უკვე შეუდგა საპროექტო სამუშაოთა შესრულებას. 1956-1957 წლებში გადაწყვეტილია ამ სამუშაოების დამთავრება. საექსპლოატაციო ბურღვის მოცულობის გაფართოებასთან ერთად გადიდდება ბუნებრივი გაზის მოპოვება.

გროზნო-თბილისის გაზსადენის მშენებლობა უდიდესი მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში. კომპლექსური ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია როგორც მაგისტრალური გაზსადენის, ისე ქალაქის შიდა ქსელის დაპროექტებისა და მშენებლობისათვის, გამოცხადებულ უნდა იქნეს სახალხო საქმედ. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ საჭიროა შევისწავლოთ ჩვენს რესპუბლიკაში არსებული მდიდარი შესაძლებლობანი.

უნდა მოხდეს საქართველოს ბუნებრივი გაზის საბადოების დეტალური დაზვერვა და შესწავლა, რომ დადგენილ იქნას მათი რაციონალური გამოყენების პერსპექტივები.

ე. ვასაძე,
„საქნავთის“ მთავარი ინჟინერი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა

კამათი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. მ. პ. გიორგაძის სიტყვა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი

ამხანაგებო! ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მუდამ მოუწოდებენ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს იდგნენ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ინტერესების სადარაჯოზე, განუხრელად ახორციელებდნენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას.

კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ბრძოლა საზოგადოებრივი ქონების დაცვისათვის.

სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის ნთელ რიგ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ არის ფაქტები, რომლებიც მოწმობენ უყაირათობას, პროდუქციის, ქონების დანაკარგების, სახსრების განიავების დაშვებას.

პარტიულ ორგანოებთან ერთად ამისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს და ხელმძღვანელ სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, რომლებიც სისტემატურად არ ამოწმებენ კოლმეურნეობებში აღრიცხვის დაყენებას, არ ცდილობენ მიაღწიონ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში, ურიგდებიან საკოლმეურნეო დოვლათის დატაცებას, არ წარმართავენ კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიების საქმიანობას.

საკოლმეურნეო ქონების დატაცების, გაფლანგვისა და განიავების ბევრ შემთხვევას ვხვდებით სიონაღის, კაჭრეთის, ზესტაფონის, ხობის, მარნეულის, ლანჩხუთისა და სხვა რაიონებში.

ამჟამად, როცა ჩვენი ქვეყანა წყვეტს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი მძლავრი აღმავლობის ამოცანას, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თვითეული კოლგრამი პროდუქცია, კოლმეურნეობის შემოსავლის თვითეული მანეთი ხმარდებოდეს არტელის საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა სოფლის მეურნეობას დაუსახა ამოცანა — ერთიორად გაადიდოს ყველა სახეობის ხორცისა და ცხიმის წარმოება. ამისათვის საჭიროა ხორცის პროდუქციის დიდი ყოველწლიური მატება. პლენუმმა აღნიშნა, რომ ხორცის წარმოების გადიდება მიღწეულ უნდა იქნას, უწინარეს ყოვლისა, მეღორეობის, როგორც ყველაზე მალმწიფებადი მეცხოველეობის დარგის, სწრაფი განვითარებით, ამასთან ღორის ხორცის ხვედრითი წონა აყვანილ უნდა იქნას 40-50 პროცენტამდე ჩვენს ქვეყანაში ხორცის საერთო წარმოებაში.

არსებულ შესაძლებლობათა უუნაროდ გამოყენების გამო მეღორეობა საქართველოში ჯერჯერობით ვერ იძლევა საჭირო ეფექტს. ჩვენს რესპუბლიკაში შეუწყარებლად ნელა იზრდება ღორის სულადობა.

ახმეტის, ასპინძის, საგარეჯოს, ონის, ჩხოროწყუს რაიონებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებში 1954-1955 სამეურნეო წელს ერთ დედაღორზე მიღებულია 5 გოჭი, წალკის, დმანისისა და ყვარლის რაიონების კოლმეურნეობებში — 4 გოჭი, ხოლო დუშეთისა და თიანეთის რაიონების კოლმეურნეობებში — მხოლოდ 3 გოჭი.

ცუდი მოვლა-შენახვისა და კვების გამო დიდია მოზარდეულის სიკვდილიანობის პროცენტი.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ნამატის შენარჩუნების მხრივ ყვარლის, მცხეთის, სტალინირის, თიანეთის, ჩხოროწყუს, გუდაუთის რაიონების კოლმეურნეობებში.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები უნდა გაერკვნენ მოზარდეულის სიკვდილიანობის მიზეზებში თვითეულ კოლმეურნეობაში და მიიღონ საჭირო ღონისძიებები ნამატის მთლიანად შენარჩუნებისათვის.

1955 წლის პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებული იყო ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე მიგვეღო 30 ცენტნერი ღორის ხორცი, ფაქტიურად მიღებულია მხოლოდ 5 ცენტნერი. რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონი ძლიერ ჩამორჩება ღორის ხორცის წარმოების დაწესებულ ღონეს.

მეღორეობა შეიცავს უდიდეს რეზერვებს, როგორიც არ არის მეცხოველეობის არცერთ სხვა დარგში. პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ვალია განუწყვეტლივ ცდილობდნენ გონივრულად გამოიყენონ ეს რეზერვები, ფართო პროპაგანდა გაუწიონ მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევებს მეღორეობის დარგში და დანერგონ ისინი თვითეული კოლმეურნეობის პრაქტიკაში.

ძნელია გადაჭარბებით შეფასოთ ფრინველის ხორცის, როგორც უაღრესად ნოყიერი და დიეტური პროდუქტის მნიშვნელობა. ჩვენს რესპუბლიკაში ყველა შესაძლებლობა არსებობს არა მარტო კვერცხმდებელი, არამედ აგრეთვე განსაკუთრებით სახორცე ჯიშების ფრინველის მოსაშენებლად. მაგრამ საზოგადოებრივი მეფრინველეობის განვითარების დარგში სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების განსახორციელებლად რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული. კვერცხმდებელი ქათმის სულადობის გადიდების გეგმა კოლმეურნეობებმა 1955 წელს 70,6 პროცენტით შეასრულეს. 1954 წელთან შედარებით დაშვებულია ფრინველის სულადობის შემცირება 12 პროცენტით.

მეფრინველეობის განვითარება დამოკიდებულია მოზარდეულის გაზრდილსა და მაქსიმალური დაცვის სწორ ორგანიზაციაზე. ხალხური ანდაზა ტყუილად კი არ ამბობს: „წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო“. უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობას დიდი ჯაფა არა სჭირდება წიწილების დასათვლელად შემოდგომაზე. კაჭრეთის რაიონის სოფელ მელაანის კოლმეურნეობა „ლენინიზმში“ შეინარჩუნეს საინკუბატორო მეფრინველეობის სადგურიდან მიღებული მოზარდეულის მხოლოდ 26 პროცენტი, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში — 38 პროცენტი, ქარელის რაიონის სოფელ ზემო ხვედურეთის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“ — 30 პროცენტი.

ამხანაგებო! ნაკლოვანებანი ჩვენი რესპუბლიკის არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ აგრეთვე სახალხო მეურნეობის და კულტურული მშენებლობის სხვა დარგების განვითარებაში, რომლებზეც ილაპარაკეს მომხსენებელმა და გამოსულმა დელეგატებმა, მოწმობენ იმას, რომ ნაკლოვანებებია პარტიულ-პოლიტიკურ და პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობაში.

ამასთან დაკავშირებით მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო მტს-ების ზონების მიხედვით ინსტრუქტორთა ჯგუფების საქმიანობაზე.

ინსტრუქტორთა ჯგუფებმა მტს-ების ზონაში პარტიის რაიკომების მდივნების მეთაურობით გარკვეული დადებითი როლი შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან პარტიული ხელმძღვანელობის დაახლოებაში, კოლმეურნეთა და სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების გაუმჯობესებაში.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვერდი აგვევლო სერიოზული ნაკლოვანებებისათვის, რომლებიც ახასიათებს მტს-ების ზონების მიხედვით ბევრ ინსტრუქტორთა ჯგუფის საქმიანობას.

უკვე თითქმის ორი წელი გავიდა პარტიის სასოფლო რაიკომების მუშაობის გარდაქმნის მომენტიდან. მიუხედავად ამისა, პარტიის სასოფლო რაიკომების ზოგიერთი მუშაკი ჯერ კიდევ ცუდად ერკვევა ამ ჯგუფების ამოცანებსა და ფუნქციებში, ხშირად კითხულობს, თუ როგორ უნდა ააგოს თავისი მუშაობა. ამ ამხანაგებს, როგორც ჩანს, არ ესმით, რომ პარტიული მუშაობა შემოქმედებითი საქმეა, იგი ვერ ითმენს შაბლონს, დოგმატიზმს. ჩვენი პარტიის დიდი დამაარსებელი ვ. ი. ლენინი მიგვითითებდა, რომ საჭიროა ვიყოთ მოქნილნი, მუდამ ვითვალისწინებდეთ კონკრეტულ პირობებს, ვსწავლობდეთ ცოცხალი სინამდვილის თავისებურებას.

თითქმის ყველა სასოფლო რაიკომისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნაკლია ის, რომ მტს-ების ზონების მიხედვით ზოგიერთი ინსტრუქტორი და მტს-ების ზონაში რაიკომების ზოგიერთი მდივანი მუდმივ რწმუნებულებად გადაიქცნენ. საქმე ზოგჯერ იქამდე მიდის, რომ მტს-ების ზონების მიხედვით ინსტრუქტორებს კოლმეურნეები ვერ არჩევენ მტს-ების მუშაკებისაგან. იშვიათი როდია შემთხვევები, როცა ინსტრუქტორი მტს-ის ზონის მიხედვით პოლიტიკურ-მასობრივი და ორგანიზატორული მუშაობის ნაცვლად მუშაობს სატრაქტორო ბრიგადების სათადარიგო ნაწილებით, საწვავით მომარაგებაზე და ა. შ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა ხელმძღვანელი კადრებისაგან მოითხოვა სისტემატურად აიმაღლონ თეორიული დონე, შეისწავლონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა და ტექნიკა, იყვნენ ყოველივე ახლის, მოწინავის კურსში, იცოდნენ თავიანთი რაიონის ეკონომიკისა და ბუნების თავისებურებანი. ჩვენი პარტიის ეს მოთხოვნა აუცილებლად უნდა შესრულდეს.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ახალქალაქის, ზესტაფონის, გურჯაანის და მთელი რიგი სხვა რაიკომების ბიუროები პარტიულ-პოლიტიკურ და პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობას ეწევიან სამეურნეო ამოცანებისაგან მოწყვეტით.

უადგილო არ იქნება ამ ხელმძღვანელებს გავახსენოთ ი. ბ. სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ სამეურნეო წარმატებები, რომლებიც პარტიულ-პოლიტიკური მუშაობით არ არის განმტკიცებული, შეიძლება ქვიშაზე აგებული აღმოჩნდეს.

პარტიული მუშაობა თვითმიზანი როდია. იგი კონკრეტული, საგნობრივი, შედეგიანი უნდა იყოს. კრებები, სხდომები, ლექციები, მოხსენებები, საგაზეთო-მასობრივი მუშაობა მიზანს მიაღწევენ, თუ მჭიდროდ დაკავშირებული არიან ცხოვრებასთან, თუ მათი შედეგია საქმის ვითარების გაუმჯობესება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამა თუ იმ უბანზე.

ეკონომიკის ღრმად შესწავლის საფუძველზე ჩვენ უნდა ჩავწვდეთ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების ყველა დეტალს, ვიცოდეთ, რა შესაძლებლობებია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის გასაუმჯობესებლად.

ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი რეზერვია გონივრული დაგეგმვა, რომელიც საშუალებას იძლევა დავადგინოთ ნათესი ფართობების სწორი სტრუქტურა, შევცვალოთ მცირემოსავლიანი კულტურები უფრო მოსავლიანით.

ჩვენი რესპუბლიკის მეტ წილ რაიონებში ბუნების პირობების თავისებურებათა და ზოგიერთი კულტურის მოყვანის განსაკუთრებული ხასიათის გამო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში თითქმის არ არის შესვენება. მაგრამ ახლა საჭიროა ძალების განსაკუთრებული დაძაბვა, ვინაიდან მიმდინარე წლის მაღალ მოსავალს საძირკველი ეყრება საგაზაფხულო თესვისათვის მზადების დღეებში. ეს მუშაობა პარტიის სასოფლო რაიკომების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს. ისინი მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ბრძოლას გაზაფხულისათვის მზადების უმნიშვნელოვანეს უბნებზე.

ახლა საქართველოს კოლმეურნეობებში მიმდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო კრებები და აგდგენენ 1956 წლის საწარმოო გეგმებს. ეს ფრიად პასუხსაგები დროა თვითეული კოლმეურნეობის ცხოვრებაში. პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ვალია დაეხმარონ კოლმეურნეობებს იმაში, რომ ყოველმხრივი ანალიზი გაუკეთონ გასული წლის შედეგებს, გაერკვნენ თვითეული ბრიგადის, ფერმის მუშაობაში, გაითვალისწინონ დადებითი და უარყოფითი მხარეები, გამოარკვიონ გასული წლის ნაკლოვანებათა მიზეზები და დასახონ ღონისძიებანი 1956 წლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადიდებისათვის.

ამხანაგებო! საქართველოს მშრომელები საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად უდიდესი სიამაყის გრძნობით შეხვდნენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა.

შრომითი გმირობის ახალი აღმავლობა, რომელიც დირექტივების პროექტმა გამოიწვია, მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ერთგულების კიდევ ერთი თვალსაჩინო დადასტურებაა.

საქართველოს კომპარტიას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთგულ მებრძოლ რაზმს — შეუძლია მტკიცე პირობა მისცეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ კიდევ უფრო თავდადებით იბრძოლებს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დიადი იდეების განხორციელებისთვის.

ამხ. ა. ლ. გუნიას სიტყვა

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი

ამხანაგებო! კულტურის ბევრმა მუშაკმა სწორად გაიგო პარტიის მითითება იმის შესახებ, რომ მთელი იდეოლოგიური მუშაობა მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, საბჭოთა ხალხის წინაშე მდგომი კონკრეტული ამოცანების გადაჭრასთან.

უკანასკნელ წლებში კულტურულ-მასობრივი მუშაობის თავისებურებაა მისი გაძლიერება სოფლის მოსახლეობაში.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტში დიდი მნიშვნელობა ეძლევა მოსახლეობის კინომომსახურების გაუმჯობესებას. საქართველოს კინოფესტივალმა მუშაობა გააუმჯობესა. 1955 წელს მან გეგმის გადაჭარბებით მომსახურება გაუწია 2 მილიონ კაცს და სახელმწიფოს მისცა ზეგეგმითი მოგება 7,5 მილიონი მანეთის რაოდენობით. მაგრამ ამ დარგში ჯერ კიდევ გვაქვს არსებითი ნაკლოვანებები. განსაკუთრებით ცუდად მუშაობს კინოფესტივალი კაჭრეთის, თიანეთის, ჭიათურის, ორჯონიკიძის რაიონებში.

სიტყვები იბეჭდება შემოკლებული სტენოგრამის მიხედვით.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა

კამათი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. ა. ლ. გუნიას სიტყვის დასასრული

ბის მოთხოვნილება სახელმძღვანელოებზე მხოლოდ 50-60 პროცენტით კმაყოფილდება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი რაოდენობით იცემა სახელმძღვანელოები უმაღლესი სკოლებისა და ტექნიკუმებისათვის.

ჩვენ კიდევ ვერ მივაღწიეთ სათანადო წესრიგს საგამომცემლო საქმეში. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ კულტურის ფრონტზე მომუშავე კადრებს.

საანგარიშო მოხსენება შეიცავდა სამართლიან კრიტიკას კულტურის სამინისტროს მისამართით. ჩვენ მივიღებთ ჩვენგან დამოკიდებულ ყველა ღონისძიებას ჩვენს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მთლიანად ვიზიარებ ამხ. ვ. პ. მჟავანაძის კრიტიკას ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის, მეცნიერებისა და კულტურის განყოფილებათა მისამართით. ისინი უფრო ოპერატიულად, უფრო ღრმად უნდა სწავლობდნენ შემოქმედებითი ორგანიზაციების და კოლექტივების მუშაობას.

ამხანაგებო! ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე, რომელიც 1957 წელს გაიმართება მოსკოვში, კულტურის მუშაკებს მოელით მეტად სერიოზული გამოცდა მოსკოვის საზოგადოებრიობის წინაშე. ჩვენი რესპუბლიკის კულტურის მუშაკები ყველა ღონისძიებას მიიღებენ იმისათვის, რომ ღირსეულად აჩვენონ ქართული საბჭოთა კულტურა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის საზოგადოებრიობას.

ამხ. ა. ლ. კოკილაშვილის სიტყვა

თელავის რაიონის სოფელ კონდოლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ამხანაგებო! კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდმივად ზრუნავენ სოფლისტური სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი განმტკიცებისათვის. ამ ზრუნვისა და დახმარების შედეგად ჩვენი კოლმეურნეობა, რომელიც წლების მანძილზე თელავის რაიონში თითქმის ყველაზე ჩამორჩენილ კოლმეურნეობად ითვლებოდა, ახლა თანდათანობით წელში სწორდება. მაგალითად, 1955 წლის დასაზმვისათვის ამ ბოლო ხანებში გაწეულმა მუშაობამ თავისი პირველი კეთილმყოფელი შედეგები მოგვცა. კოლმეურნეობაში გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია, განმტკიცდა შრომის დისციპლინა.

შარშან თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მივიღეთ 11,2 ცენტნერი მარცვლეული ნაცვლად 1954 წელს მოღებული 6,8 ცენტნერისა. მეცხოველეობის ყველა ფერმაში სულადობის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობა 467 ლიტრიდან გადიდდა 783 ლიტრამდე. ჩვენ მიზნად დავისახეთ წელს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მივიღოთ 900 ლიტრი რძე.

საგრძნობლად გაიზარდა კოლმეურნეობის შემოსავალი და შრომადღის ხვედრი. საერთო ფულადმა შემოსავალმა კოლმეურნეობაში შარშან 2.600 ათას მანეთს მიაღწია. თვითეულ შრომადღეზე გავცემთ 6 მანეთს და 2,5 კილოგრამ მარცვალს.

ჩვენ შემუშავებული გვქონდა მომდინარე წლის სამუშაოთა გეგმა, მაგრამ პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს რომ გავეცანით, ეს გეგმა აღარ გვაკმაყოფილებს. ახლა გულმოდგინედ ვსწავლობთ დამატებითს რეზერვებს, რაც ჩვენს კოლმეურნეობას აქვს. მათი გამოვლინების საფუძველზე ძირეულად გადავამუშავებთ გეგმას იმ ვარაუდით, რომ კიდევ უფრო გავადიდოთ ყველა კულტურის მოსავლიანობა, კერძოდ, ყურძნის მოსავლიანობა.

სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად ყველაფერს გავაკეთებთ, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, მაგრამ არის საკითხები, რომელთა გადაჭრაც მარტო ჩვენ არ ძალგვიძს.

ჩვენი რაიონის მტს-ები ოდნავაც არ არიან აღჭურვილნი საკოლმეურნეო ზვრების დასამუშავებელი მექანიზმებით. მაგალითად, სატრაქტორო ბრიგადას, რომელიც ჩვენს კოლმეურნეობას ემსახურება, რიგთა შორის სახნავად აქვს მხოლოდ ერთი ვარგისი კდ-ს მარკის ტრაქტორი, მაგრამ ისიც სანახევროდ გამოუყენებელია, რადგან არა აქვს რიგთა შორის სახნავი ხელირიანი გუთანი. თელავის მტს-ს გააჩნია მხოლოდ ერთი ამოსაძირკვი აგრეგატი, მაგრამ ისიც სანახევროდ გაჩერებულია უწესივრობის გამო. თელავის რაიონი ძირითადად მევენახეობის რაიონია. განა შეიძლება ერთმა აგრეგატმა დაკმაყოფილოს რაიონის 23 კოლმეურნეობის მოთხოვნილება?

თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო მეცხოველეობის განვითარების ზოგიერთ საკითხზე. ძნელი იქნება მეცხოველეობაში რაიმე წარმატებაზე ლაპარაკი, თუ კოლმეურნეობას პირუტყვი ისევ ძველ პრიმიტიულ გომურებსა და სადგომებში ეყოლება. უნდა აღინიშნოს, რომ ფერმების მშენებლობა ბევრ კოლმეურნეობაში კუსტარულად მიმდინარეობს. ადგილზე არ არის საამისო პროექტები, სამშენებლო მასალები, არა გვყავს ინჟინერ-ტექნიკოსები.

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო როლი ეკუთვნის აგრონომიული მეცნიერებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას. სამწუხაროდ, აგრონომიული მეცნიერების შესანიშნავ მიღწევებს, მოწინავეთა გამოცდილებას ყოველთვის თავის დროზე როდი ვეცნობით სოფლის მეურნეობის მუშაკები. ამის შესახებ ცოტა იწერება ჩვენს პრესაშიც. როგორც ცნობილია, მთელ რიგ მომძე რესპუბლიკებს, მათ შორის უკრაინას, ბელორუსიას, ყაზახეთს, აზერბაიჯანს და სხვ. სასოფლო-სამეურნეო გაზეთები აქვთ. რატომ არ შეიძლება ჩვენს რესპუბლიკასაც ჰქონდეს სასოფლო-სამეურნეო გაზეთი?

ამხანაგებო! ჩვენი რაიონის კოლმეურნეები და კომუნისტები ყველაფერს გააკეთებენ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის.

ამხ. მ. ბ. ღვინჯილიას სიტყვა

საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომის მდივანი

ამხანაგებო! სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში ზუგდიდის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ ერთგვარი წარმატებანი მოიპოვა. გასულ წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა შეასრულეს 107 პროცენტით, აბრეშუმის პარკის ჩაბარებისა — 103, ყურძნისა — 114 და ციტრუსოვანთა ნაყოფისა — 117 პროცენტით.

ერთგვარი გაუმჯობესებაა მარცვლეული კულტურების წარმოების საქმეში. გასულ წელს დათესილ იქნა 580 ჰექტარით მეტი სიმინდი, ვიდრე 1954 წელს, ათვისებულია ყამირი მიწები 400 ჰექტარი. ცალკეულმა კოლმეურნეობებმა სიმინდის მაღალი მოსავალი მოიყვანეს. მაგალითად, ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ მიიღო 35 ცენტნერი, ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ — 32,3 ცენტნერი სიმინდი და სხვ. რაიონში სიმინდის საშუალო მოსავლიანობა გადიდდა 3,3 ცენტნერით. მაგრამ მოსავლიანობის ეს მატება არ არის საკმარისი დამაკმაყოფილებელი. კოლმეურნეობებს უფრო მეტი მონდომებით რომ ემუშავნათ, ხოლო პარტიის რაიონულ კომიტეტს, რაიონსაბჭოს აღმასკომს და მტს-ს უფრო მეტი საქმიანი და ოპერატიული დახმარება რომ გაეწიათ მათთვის, შედეგები უკეთესი იქნებოდა.

რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად მეცხოველეობის პროდუქტიულობის წარმოების გადიდების საქმეში. კოლმეურნეობებმა გასულ წელს პირველად შეასრულეს როგორც პირუტყვის პროდუქტიულობის, ისე სულადობის განვითარების გეგმები ყველა მაჩვენებლის მიხედვით. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე წველადობის გეგმა შესრულებულია 114 პროცენტით.

ცნობილია, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობის წარმატებით განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების ძირითადი პირობაა მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. გასულ წელს რაიონის კოლმეურნეობებმა და მტს-მა კარგად იმუშავეს პირუტყვისათვის წვნიანი საკვების დასამზადებლად. გადაჭარბებით შესრულდა თივისა და საკვები ძირხვენების დამზადების გეგმები.

მიუხედავად ამისა, რაიონში არიან კოლმეურნეობათა ისეთი ხელმძღვანელები, რომლებმაც სათანადო დასკვნები ვერ გააკეთეს იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და ურიგდებიან ჩამორჩენას მეცხოველეობაში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში სამართლიანად იყო გაკრიტიკებული ზუგდიდის რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტიული ორგანიზაციის ცუდი მუშაობა მეცხოველეობის განვითარების საქმეში. ამ კრიტიკიდან ჩვენ სათანადო დასკვნებს გავაკეთებთ.

ზუგდიდს არა აქვს წყალსადენი და კანალიზაცია. საჭიროა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაითვალისწინოს ეს და მისცეს მითითება სათანადო ორგანოებს ზუგდიდში წყალსადენისა და კანალიზაციის სამუშაოთა დაწყების შესახებ.

საბჭოთა ხალხი უმაგალითო შრომითი აქტივობით ხვდება მშობლიური პარტიის XX ყრილობას. ზუგდიდის რაიონის პარტიული ორგანიზაცია პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებით ახალ წარმატებებს მიაღწევს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

ამხ. ი. ბ. აბაშიძის სიტყვა

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველი მდივანი

ამხანაგებო! საბჭოთა საგარეო პოლიტიკა ეყრდნობა ორი სისტემის — სოციალისტურისა და კაპიტალისტური სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპს. ხალხთა მშვიდობიან შეჯიბრებაში უდიდესი როლი ენიჭება ორი კულტურის — საბჭოთა და ბურჟუაზიული კულტურის შეჯიბრებას.

საბჭოთა მწერლობამ დიდიხანია დაიმსახურა მილიონობით მკითხველთა სიმპათია და სიყვარული უცხო ქვეყნებში.

მე სიხარულით აღვნიშნავ, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოვიდა შოთა რუსთაველის გენიალური ნაწარმოები „ვეფხისტყაოსანი“ — ლექსად თარგმნილი გამოჩენილი ავსტრიელი პოეტის ჰუგო ჰუპერტის მიერ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და დემოკრატიულ ქვეყნებში დიდი ტირაჟით გამოსცეს ქართველ კლასიკოსთა გარდა ქართველი საბჭოთა მწერლების ლ. ქიაჩელის, ა. ქუთათელის, ა. ჭეიშვილის, გ. ლეონიძის, გ. აბაშიძის, ი. ლისაშვილის, შ. დადიანის, თ. დონდუაშვილის და სხვათა ნაწარმოებნი.

ქართველი ბელეტრისტის კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანი „კოლხეთის ცისკარი“ იბეჭდება პარიზის ყოველკვირეულ გაზეთში „ლეტრ ფრანსეზში“.

ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეს ჩვენი მწერლები უმადლიან ჩვენს რუს ამხანაგებს, რუს მწერლებს, რომელთაც უდიდესი და დაუფასებელი ღვაწლი დასდეს ქართულ კულტურას რუსი და მომძე ერების მკითხველთათვის ქართველ მწერალთა ნაწარმოებების მაღალხარისხოვანი თარგმანების მიწოდებით. მარტო გასულ წელს მოსკოვში რამდენიმე ქართველი მწერლის წიგნი გამოიცა. მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ქართული პროზის სამტომეული, რომელშიც შეიდა ჩვენი ბელეტრისტიკის ნიმუშები დაწყებული მეხუთე საუკუნიდან ვიდრე ჩვენს დრომდე. გამოსაცემად მზად არის ქართული საბჭოთა პროზის ორტომეული. ამავე გამომცემლობას 1956 წლის გეგმაში შეტანილი აქვს ქართული პოეზიის ანთოლოგია 50 თაბახის ნოტიულობით.

ამ დღეებში დაამთავრა მუშაობა ახალგაზრდა მწერლების სრულიად საკავშირო თათბირმა მოსკოვში. ქართველ ახალგაზრდა მწერლებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა რუსი მეგობრების განსაკუთრებულმა მზრუნველობამ.

საქართველოც არ გამოიყურება ცუდად რუსული და მომძე ერების ლიტერატურის თარგმანის საქმეში.

მომავალ 1957 წელს გადაწყვეტილია მოსკოვში გაიმართოს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა. ეს გარემოება გვავალებს დავძაბოთ მთელი ჩვენი შემოქმედებითი ენერგია და უნარი, რათა ღირსეულად წარვსდგეთ ამ დეკადაზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება თბილისში რუსული ჟურნალის დაარსების შესახებ. ეს ჟურნალი დიდად შეუწყობს ხელს დეკადისათვის ჩვენს ეზადებას. სიერთოდ იგი დიდ სამსახურს გაუწევს ქართული მწერლობის პოპულარიზაციას საბჭოთა კავშირში მკითხველთა ფართო მასებში.

ამხანაგებო! მომხსენებელმა ამ ყრილობაზე ილაპარაკა ჩვენი პროზის ჩამორჩენის შესახებ. საერთოდ ჩვენ არ შეგვიძლია კმაყოფილი ვიყოთ იმ მდგომარეობით, რომელიც ახლა არის ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. საქმე მარტო პროზის ჩამორჩენილობით როდი განისაზღვრება. უდავო ფაქტია, რომ ქართული საბჭოთა თეატრი დიდი სიძნელეების წინაშე დგას ორიგინალური რეპერტუარის სიმცირის გამო. იგივე ითქმის ქართული კინემატოგრაფიის შესახებაც. ყოველივე ამისათვის, რასაკვირველია, გარკვეული პასუხისმგებლობა ქართულ მწერლობასაც ეკისრება.

საანგარიშო მოხსენებაში სავსებით სწორად იყო მითითებული იმაზე, რომ ზოგმა ჩვენმა ბელეტრისტმა და დრამატურგმა, სცადა რა შეექმნა სატირული ნაწარმოები, სწორად ვერ გაიგო ტიპიურობის საკითხი საბჭოთა მწერლობაში. უნდა ითქვას, რომ ამაში ბრალი ჩვენც — საქართველოს საბჭოთა მწერლების ხელმძღვანელებსაც მიგვიძღვის.

საბჭოთა მწერლებს, მათ შორის ქართველ მწერლებს სავსებით შეგნებული აქვთ მათ წინაშე მდგომი ამოცანები. ისინი — ჩვენი კომუნისტური პარტიის ერთგულნი და ჩვენი საშობლოს ისტორიული გამარჯვებებით შთაგონებულნი, მომავალშიც ასახავენ მხატვრული სიტყვით საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითს შრომას, მათს ბრძოლას კომუნიზმისათვის.

ამხ. დ. გ. მამამთავრიშვილის სიტყვა

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი

ამხანაგებო! ჩვენი რესპუბლიკის სამედიცინო სამსახურმა ძირითადად შეასრულა კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დირექტივები, მაგრამ ვერ შეძლო მთლიანად აღმოეფხვრა ის ნაკლოვანებანი, რომლებიც წარსულში იყო. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კრიტიკა, რასაც საანგარიშო მოხსენება შეიცავდა, უთუოდ სწორია, და ჩვენ მას სავსებით ვიღებთ.

ჩვენ გვჭირდება კონკრეტული დახმარება თვით ცხოვრების მიერ წამოყენებული უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტაში.

საჭიროდ მიმაჩნია დელეგატების ყურადღება შევაჩერო სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციის ზოგიერთ საერთო საკითხზე. წარსულში ყველგან როდი იყო დაცული სასოფლო-საექიმო უბნების სწორი განლაგება. საწოლთა ძირითადი ფონდის 75 პროცენტი 5-10-საწოლიან პატარა საავადმყოფოებშია. ეს სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების მოწყობაზე ლაპარაკი ზედმეტია. საჭიროა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, აგრეთვე რაიონული ხელმძღვანელები დაეხმარონ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს იმაში, რომ პატარა საუბნო საავადმყოფოების ნაცვლად აშენონ დიდი საავადმყოფოები, სადაც მოსახლეობისათვის სავსებით უზრუნველყოფილი იქნება სპეციალიზებული დახმარება.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ დასახა პროგრამა, რომელიც განხორციელებულ უნდა იქნას რამდენიმე წლის განმავლობაში. 189 საუბნო საავადმყოფოს და 400 სასოფლო ამბულატორიის ნაცვლად განზრახულია შეიქმნას 25-35-საწოლიანი 200 საუბანთაშორისო საავადმყოფო. ვინაიდან ამდენი შენობის აგება არ შეიძლება ერთ ხუთწლედში განხორციელდეს, ამ ეტაპზე ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს რაიონული საავადმყოფოების, როგორც სოფლის მოსახლეობისათვის კვალიფიციური და სპეციალიზებული დახმარების გაწევის ძირითადი ბაზის მშენებლობის დაჩქარებას. სხვა რესპუბლიკების მაგალითის მიხედვით მათ მშენებლობაში უნდა ჩავამთ გამოსცდილი კოლმეურნეობები.

სოფლის მოსახლეობის კულტურული დონე და მოთხოვნილებანი მნიშვნელოვნად გაიზარდა, კოლმეურნეებს სურთ დიდ სპეციალისტებთან იმკურნალონ. სოფელ რაიონებში ჩვენ ასეთი კადრები, სამწუხაროდ, არა გვყავს. ამიტომ ავადმყოფები რაიონებიდან რესპუბლიკის დიდ ქალაქებში ჩამოდიან. ამით აიხსნება, რომ სასოფლო-სამკურნალო ქსელი მთლიანად არ არის დატვირთული. ბუნებრივად მიგვიყვანს დასკვნამდე: პატარა საავადმყოფოები კი არ უნდა გავამრავლოთ, არამედ შევამციროთ და მათ ნაცვლად ვაშენოთ მძლავრი საუბანთაშორისო საავადმყოფოები.

უმუშევარ ექიმთა შესახებ. ასეთები, სამწუხაროდ, დაახლოებით 600 გვყავს. მაგრამ ვინ არიან ისინი? მათს უმრავლესობას აღარც კი შეიძლება ექიმი ვუწოდოთ, ვინაიდან ათ წელზე მეტი ხანია, რაც ხელში სტეტოსკოპი აღარ აუღიათ, საერთოდ არ უმკურნალნიათ ავადმყოფებისათვის. ესენი ძირითადად არიან ქალები, რომლებსაც რაიონებში წასვლა არ შეუძლიათ ოჯახური გარემოების გამო. საჭიროა აღრიცხვიდან მოვხსნათ ასეთი ექიმები, როგორც ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში მოიქცნენ.

საფინანსო გეგმა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხაზით გასულ წელს 98,2 პროცენტით შესრულდა, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა — 90 პროცენტით. ეს გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრო, ცუდი ტრადიციის მიხედვით, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებს უკანასკნელ რიგში აბარებს.

მე ვფიქრობ მომწიფდა იმის აუცილებლობა, რომ რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის საკითხები განხილულ იქნას საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობის პლენუმზე.

საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ვაჭრობის და ნაოსნობის ხელშეკრულების რატიფიკაცია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1956 წლის 21 იანვრის ბრძანებულებით მოახდინა რატიფიკაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ხელშეკრულებისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ, რომელზეც ხელი მოაწერეს ვენაში 1955 წლის 17 ოქტომბერს.

სსრ კავშირი ბედნიერი მომავლის გზას უნათებს კაცობრიობას

გაზეთი „სკინტეია“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტის შესახებ

ბუქარესტი, 22 იანვარი. (საკდესი). „სოციალისტური სისტემის უპირატესობის ბრწყინვალე დადასტურება“ — ასეთი სათაური აქვს სტატიას გაზეთ „სკინტეიის“ დღევანდელ ნომერში. სტატია მიძღვნილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტისადმი.

სსრ კავშირის ახალი ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტი, წერს გაზეთი, გამოხატავს საბჭოთა ხალხის დიდ შემოქმედებითს ენერგიას, იგი დიდი წვლილია მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების განმტკიცებაში. მეექვსე ხუთწლიანი გეგმა სოციალისტური სისტემის უპირატესობის ბრწყინვალე დადასტურებაა, ამავე დროს იგი მკაფიოდ მიუთითებს, რომ სსრ კავშირი ესწრაფვის მშვიდობას, ღრმად სწამს მშვიდობიანი მომავალი, რომლის საიმედო გარანტიაა საბჭოთა სახელმწიფოს მზარდი ძლიერება.

ჩვენი ქვეყნისათვის და ჩვენი მშრომელი ხალხისათვის, რომლებიც საბჭოთა ხალხის მძლავრი მხარდაჭერითა და დახმარებით სარგებლობენ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტი ძალის წყაროა ჩვენი ახალი ხუთწლედის განხორციელებაში, ჩვენი პერსპექტივებისა და სოციალიზმის დიადი ბანაკის უძლეველი ძალისადმი რწმენის წყაროა. საბჭოთა კავშირი უდიდეს შუქურასავით უნათებს კაცობრიობას ბედნიერი მომავლის გზას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს სხდომა

პეკინი, 23 იანვარი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტო გადმოგვცემს, დღეს გაიმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 22-ე სხდომა.

საბჭომ მოიწონა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობისა და თანაშრომლობის ხელშეკრულება, აგრეთვე დაამტკიცა ჩინეთ-გერმანიის შეთანხმებანი კულტურული თანამშრომლობის, მცენარეთა კარანტინისა და დაცვის შესახებ.

საბჭომ აგრეთვე დაამტკიცა ჩინეთ-სირიის საჰაერო შეთანხმება და შეთანხმება გადასახდელების შესახებ, რომელიც ხელმოწერილია დამასკოში 1955 წლის 30 ნოემბერს.

ნორვეგიის კომუნისტური პარტიის კონფერენცია

ოსლო, 23 იანვარი. (საკდესი). გაზეთი „ფრიჰეტენი“ იუწყება, რომ 21 და 22 იანვარს ოსლოში გაიმართა ნორვეგიის კომუნისტური პარტიის კონფერენცია, რომელმაც განიხილა ნორვეგიის პოლიტიკურ მდგომარეობაში ცვლილების და პარტიის ამოცანების საკითხი.

მოხსენებები გააკეთეს ნორვეგიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ლევლიენმა და პარტიის ცენტრალური გამგეობის მდივანმა ლიპემ.

მიმართვაში, რომელიც კონფერენციის დელეგატებმა მიიღეს, ლაპარაკია ნორვეგიისათვის იმ საშიშროებაზე, რაც გამომდინარეობს ნატო-ს (ეგრეთწოდებული ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო ხელშეკრულება) წევრობიდან, და იმაზე, რომ საჭიროა ნორვეგია გამოვიდეს ნატო-დან. „გამოვა რა ნატო-დან, იდგება რა სამხედრო ბლოკებისა და დაჯგუფებათა გარეთ, იბრძოლებს რა ნეიტრალური დამოუკიდებელი პოლიტიკისათვის, რომელიც დამყარებული იქნება ყველა ქვეყანასთან კარგი და მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებაზე, ნორვეგია შეძლებს ხელი შეუწყოს ევროპაში მშვიდობისა და კოლექტიური უშიშროების განმტკიცების საქმეს. ამ გზით ნორვეგია შეძლებს კვლავ მოიპოვოს დამოუკიდებლობა. ეს დასახავს ეკონომიური პროგრესის, ცხოვრების უკეთესი პირობების და უფრო მაღალი სოციალური და კულტურული დონის შექმნის ახალ შესაძლებლობებს“.

კონფერენციამ მოუწოდა ყველა მშრომელს გაერთიანდნენ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა წითელი ჯვრის დახმარება ჩრდილოეთ ნორვეგიის მოსახლეობას

ნორვეგიის ჩრდილოეთ რაიონებს ამას წინათ თავს დაატყდა სტიქიური უბედურება. გრიგალმა სერიოზულად დაზარალა ქონება და მოსახლეობა.

სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა ღრმა თანაგრძნობა გამოუცხადა ნორვეგიის ხალხს ამ უბედურებასთან დაკავშირებით და საზოგადოების განკარგულებაში დადასტა 50 ათასი მანეთი დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების გასაწევად.

აღმასკომი, აღნიშნული იყო მისი თავმჯდომარის პროფესორ გ. ა. მიტერევის დეპეშაში, „გულწრფელად მოხარული იქნება, თუ საბჭოთა ადამიანების ამ მცირედ ძღვენს მიიღებთ და გამოიყენებთ დაზარალებულთა ხვედრის შესამსუბუქებლად“.

ნორვეგიის წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარემ ერლინგ სტინინმა უპასუხა წერილით, რომელშიც მადლობას უძღვნის საბჭოთა წითელ ჯვარს გრიგალისგან დაზარალებულთა დახმარების ფონდში შეტანილი ძღვნისათვის. წერილში ნათქვამია, რომ ამ სიმპათიის გამოხატვას დიდად აფასებენ ნორვეგიაში. „ეს სახსრები, — ნათქვამია წერილში, — დიდ სარგებლობას მოუტანს ჰუმანურ მოღვაწეობას, რომლის მიზანია დახმარების გაწევა ჩრდილოეთ ნორვეგიისათვის“. (საკდესი).

ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში

პარიზი, 21 იანვარი. (საკდესი). გუშინ პარიზის საზამთრო ველოდრომზე დამთავრდა ფიგურულ ციგურაობაში ევროპის პირველობის გათამაშება ვაკთა შორის. ფრანგმა ფიგურისტმა ალენ ჟილეტმ პირველი ადგილი დაიკავა და შეინარჩუნა ევროპის ჩემპიონის წოდება, მეორე ადგილზეა ინგლისელი მაიკლ ბრუკერი და მესამეზე — კარელ დვინი (ჩეხოსლოვაკია).

საბჭოთა სპორტსმენებმა შემდეგი ადგილები დაიკავეს: იგორ პერსიანცევმა — მე-12 ადგილი, ლევ მიხაილოვმა — მე-15 და ვალენტინ ზახაროვმა — მე-16 ადგილი.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

ღღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის—აიდა, **რუსთაველის სახელობის** — გლახის ნაამბობი, **მარჯანიშვილის სახელობის** — პიგმალიონი, **გრიბოედოვის სახელობის** — ბრალდება, **სომხური დრამის** — სამეული, **მუსიკალური კომედიის** — არშინ მალ-ალან, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ერთ სკოლაში (აბონემენტი № 47, 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — თოვლის დედოფალი (10 ს.), **თოჯინების ქართული** — დათუნიას სამართალი (10 ს. და 2 ს.), **ფილარმონია**— ნ. დორლიაკის კონცერტი (რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — კერპი, **კომკავშირელი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი** — პედაგოგიური პოემა, **კოლხიდა** — სისხლიანი გზა, **დიდუბე** — მოხუც აშირის ეშმაკობა, **კოლმეურნე**—მაგდანას ლურჯა, **ოფიცერთა სახლი** — იმედის საათები, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — ჩრდილი და სინათლე.

ლედა მენიკი, მეუღლე ვალენტინა გულუა, შვილები მანანა, მალხაზ იუწყებიან
ვალოდია კიმოთეს-ძე შელიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27-I, 8 ს. გამოსვენება 28-I, 5 ს. კალინდაძის ქ. № 13.

რძალი ივლიტა, შვილიშვილები ნოდარ, თინა, ნათელა იოსავები იუწყებიან
მარიამ გაიოზის ასულ ლომია-იოსავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-I ქ. ცხაკაიაში. გამოსვენება ბინიდან, ორჯონიკიძის ქ. № 54.

შვილები კატო, მარგო, ვალიკო, ბესარიონ, კოტე ოჯახებით იუწყებიან
არქიპო გიორგის-ძე სულაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 25-I, 8 ს. გამოსვენება 26-I, 4 ს. შინდისის ქ. № 6.

შვილი ქენია, სიძე საშა ქვანია შვილებით იუწყებიან
ივანე ანდრიას-ძე ლუარსაბოვის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 25-I, 8 ს. გამოსვენება 26-I, 4 ს. ბინიდან, კალინინის ქ. № 7.

მეუღლე ეკატერინე, შვილები კობა და ეკატერინე ყანჩაველი ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან
ხარლამპი ნიკოლოზის-ძე ხუციშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 26-I, 4 ს. ბარნოვის ქ. № 77.

შვილი ერმილე ოჯახით და ნათესავებით იუწყება
გერმანე თედორეს-ძე ფოფხაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-I სოფელ ხონჭიორში (ამბროლაურის რაიონი).

მეუღლე გალაქტიონ, შვილი ზინა იუწყებიან
გოგუცა ტარასის ასულ მაჭარაძე-გეგეჭკორის
გარდაცვალებას. გამოსვენება 26-I, 5 ს. თბილისის სადგურიდან, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

შვილები ანტონ, ლევან, ანიკო, კატუშა, კლარა ოჯახებით იუწყებიან
კასინე სოლომონის ასულ გოგიბერიძე-მახარაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-I სოფელ სამებაში (ჩოხატაურის რაიონი).

მეუღლე ლიზა, შვილები ნინო, შურა, შოთა იუწყებიან
ნარიმან ნიკოლოზის-ძე ჩიბლაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-I ქ. სოხუმში. გამოსვენება ბინიდან, კომკავშირის ქ. № 14.

შვილები მარიამ, ვალერიან, მიხეილ, და ნარო, ძმები კონსტანტინე, რუბენ მგელაძეები ოჯახებით იუწყებიან
ნინო ივანეს ასულ ქავყარაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-I, 4 ს. ქ. ბათუმში. გამოსვენება ბინიდან, ჭავჭავაძის ქ. № 14.

მეუღლე მიხეილ, შვილები რუსუდან, ელენე, ქსენია, ნოდარ ოჯახებით იუწყებიან
თამარ იოსების ასულ უგრეხელიძე-ცქიტიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-I სოფელ პატარა განთიადში (ზესტაფონის რაიონი).

УЦ 00622 პოლიგრაფ